GRASS
REFORMANDA

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
ნერილის რეგისტრაციის № 747
თარიღი: 22 10 2014 წ.

GRASS
REFORMANDA

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე
პასუხისმგებელ პირს

ქალბატონო/ბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37–ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე–40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

- როდის გაფორმდა ხელშეკრულება ჩინურ კომპანია „Hauling Group"-თან თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე „ოლიმპიური სოფლის“ მშენებლობის შესახებ?
- შევიდა თუ არა ცვლილება ხელშეკრულების თავდაპირველ ვარიანტში? (ცვლილების შემთხვევაში რა მუხლები შეიცვალა და რა შინაარსის?)

- გარდა „ოლიმპიური სოფლისა“ კიდევ რა სახის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას ითვალისწინებდა ხელშეკრულება?

- ითვალისწინებდა თუ არა საინვესტიციო ხელშეკრულება ოლიმპიადის დასრულების შემდეგ 126 ათასი ჩინელის ჩამოსახლებას თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე?

- გთხოვთ, მოგვაწოდოთ თბილისის მერიას, საქართველოს მთავრობასა და ჩინურ კომპანიას შორის გაფორემებული ხელშეკრულება; (როგორც თავდაპირველი, ისე შეცვლილი ვარიანტი ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- გთხოვთ, მოგვაწოდოთ „Hauling Group"- ის მიერ თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელი სამუშაოების გენერალური გეგმა; (როგორც თავდაპირველი, ისე შეცვლილი ვარიანტი ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პატივისცემით,

სერგი კაპანაძე

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) დირექტორი

მისამართი:

თბილისი, რაზმაძის ქ. # 15

საკონტაქტო პირი:

ლაშა სენაშვილი

lashasenashvili@gmail.com

598809512